პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
პარასკევი
12
მარტი
№ 59
(16489)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენი ხვალინდელი დღე

საქართველო X ხუთწლედი მრეწველობაში

საქართველოს სს რესპუბლიკაში 37-41 პროცენტით გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. გავითვალისწინოთ ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატესი ზრდა. უზრუნველვყოთ ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით, გავადიდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება 1,5-ჯერ. დავამთავროთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. განვავითაროთ მსუბუქი და კვების მრეწველობა, განსაკუთრებით მეღვინეობა, გავითვალისწინოთ მოქმედ საწარმოთა ფილიალების განლაგება მთის და მთისწინეთის რაიონებში ზრომეთი რესურსების უფრო სრული გამოყენების მიზნით.

სსრკ სახალხო შეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებიდან.



ახალი ეტაპი კომუნიზმის გზაზე

ქვეყნის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი ცხოვრება დღეს გაცისკროვნებულია კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის იდეებით. ეს იდეები ღრმად იჭრება საბჭოთა ადამიანების შეგნებაში, ეუფლება მრავალმილიონიან მასებს და ჩვენი წინსვლის ამჩქარებელი მძლავრი მატერიალური ძალა ხდება.

პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კომუნისტთა, ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს ეძღვნება ყრილობის დელეგატთა შეხვედრები თანამშრომელ ამხანაგებთან, საუბრები, მოხსენებები, შრომითი კოლექტივების კრებები, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობისა და შთაგონების ახალ მოზღვავებას იწვევს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, მასში დასახული დებულებებისა და ამოცანების, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა“ განხილვა და შესწავლა. ამ დღეებში მკაფიოდ ვლინდება პარტიის დიადი ორგანიზატორული, დამრაზმველი როლი, მისი უნარი როგორც ვ. ი. ლენინმა თქვა, „აძრავლოს მასების ენერგია, გმირობა, ენთუზიაზმი, რევოლუციურად დაძაბული მეცადინეობა მოახმაროს უმნიშვნელოვანეს მორიგ ამოცანას“.

განსაზღვრა რა ქვეყნის უახლოესი ხუთწლედის მიზნები და სოციალურ-ეკონომიური პროგრესის შემდგომი პერსპექტივები, სკკპ XXV ყრილობამ დაიწყო დიდმნიშვნელოვანი ეტაპი კომუნისტური იდეალების გამარჯვების გზაზე. ეს არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, საზოგადოებრივი უთანასწორობის სრულყოფისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების ახალი ეტაპი. ეს არის საბჭოთა ადამიანებისა და სამშობლოს აყვავების საკეთილდღეოდ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების უდიდეს შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების პერიოდი. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საწარმოო ძალების განვითარების ისეთი დონის მიღწევის გზაზე, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვე.

მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ თანმიმდევრულად განახორციელოს ლენინური პარტიის კურსი — უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის

ПРАВДА
11 მარტის მოწინავე

აღმავლობა. ამ აღმავლობას ვაღწევთ საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესების საფუძველზე.

ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება იყო და არის ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური სტრატეგიის უმაღლესი მიზანი. ყრილობის დოკუმენტებში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ყოველივე, რაც პარტიამ გააკეთა ამ მიზნის მოღწევისათვის. განვლილი თხუთმეტი წლის მანძილზე რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა დაახლოებით ორჯერ, მატერიალური დოვლათისა და მომხმარებლის საერთო მოცულობა კი დაახლოებით 2,4-ჯერ, რაც წარმოდგენას გვაძლევს იმ ამოცანების მასშტაბზეც, რომლებიც შეიძლება დაისახოს შემდეგი ხუთწლეულისათვის. პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხუთწლედიდან ხუთწლედში იზრდებოდეს მაღალხარისხოვანი ხურსათითა და ფართო მოხმარების საგნებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, იგი მთელ ღონისძიებებს ახმარს სხვა დიდი სოციალური პრობლემების, უწინარეს ყოვლისა — სპბნაო პრობლემის გადაწყვეტას. ქვეყნის ხალხური მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი თვალისწინებენ სოციალური განვითარების, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების ვრცელ პროგრამას. იგი გამსჭვალულია ღრმა სოციალისტური ჰუმანიზმით, ზრუნვით მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ყოველმხრივი დაკმაყოფილებისა და გაკეთილშობილებისათვის, მათი ჰარმონიული განვითარებისათვის.

ჩვენი სოციალური და ეკონომიური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის შემდგომ ზრდაზე. მეათე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. ამასთანავე მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის ბეშმარიტად უდიდესი მასშტაბები. მომდინარე ხუთწლეულში სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის აბსოლუტური ზრდა უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე გასულ ხუთწლეულში. სამრეწველო პროდუქციის მატების ყოველი პროცენტი ახლა ნიშნავს მისი მოცულობის გადიდებას ხუთი მილიარდი მანეთითა და მეტით, ანუ 1,4-ჯერ, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. თუ გასულ ხუთწლეულში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაბანდებული იყო 500 მილიარდ მანეთზე მეტი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ერთნახევარჯერ გაგვიდიდებინა ძირითადი საწარმოო ფონდები, სამაგიეროდ ახალ ხუთწლეულში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს დაახლოებით 650 მილიარდ მანეთს, ანუ გაიზრდება 24-26 პროცენტით.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური პროგრამის საფუძველია რეალურად გათვალისწინებული ძალები, და შესაძლებლობები, რომლებიც წლითიწლობით, ყოველ ხუთწლედში იზრდება. ჯერ ჩვენს ქვეყანას არასოდეს არა ჰქონია ასეთი მძლავრი ეკონომიური და მეცნიერული პოტენციალი, სრ ჰყოლია კვალიფიციური კადრების ასეთი უზარმაზარი არმია; ჩვენ ჯერ არასოდეს არ დავყრდნობივართ პარტიის მიერ შემოქმედებითად გააზრებულ და განზოგადებულ სამეურნეო მშენებლობის ასეთ მდიდარ გამოცდილებას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც ყოველივე ამას უწოდა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის გმირული მეცადინეობით შექმნილი ფასდაუდებელი კაპიტალი. ყრილობის ტრიბუნიდან მოგვიწოდა უფრო სრულად გამოვიყენოთ ახალი გაგანტური შესაძლებლობანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ქვეყნის წინაშე დავსახოთ უმაგალითო მასშტაბის ამოცანები. „წინ მოგველის დიდი და რთული მუშაობა, — თქვა მან. — მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი პირნათლად გაართმევენ მას თავს და ახალ შესანიშნავ ფურცელს ჩაწერენ მსოფლიოში პირველი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მატიანეში“.

დაიწყეს რა თავიანთი ცხოვრების, ბრძოლის, რევოლუციურად გარდამქმნელი საქმიანობის ახალი ეტაპი, კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი აღსავსენი არიან რწმენითა და ოპტიმიზმით. ჩვენი გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია ერთად ესწრაფვიან ახალ გამარჯვებებს. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი მათ აღიქვეს როგორც პროგრამა შთაგონებული, თავდადებული შრომისა ხალხის ბედნიერებისათვის, სამშობლოს ნათელი მომავლისათვის. ამ გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, მშობლიური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული სსრ კავშირის მოძმე ხალხები მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ კომუნისტური აღმშენებლობის ფართო და ნათელი გზით.

ვეათე-საჩისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

კავშირში პირველები

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიულ ქარხანაში მიიღეს დაბეშები, რომლებსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი თ. კაზანეცი და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ი. კოსტიუკოვი. დეპეშები მოსულია საკლინიე დგან „1000“-ის ოპერატორის არჩილ გზირიშვილისა და რკინიგზის საამქროს მემანქანის ალექსანდრე გელაშვილის სახელზე.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის კოლეგიამ ა. გზირიშვილი და ა. გელაშვილი ცნეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და დაჯილდოვეს საპატიო ვიმპელებით „მეცხრე ხუთწლედის ვალამდე შესრულებისათვის“.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებმა ა. გზირიშვილმა და ა. გელაშვილმა ამ სასიხარულო ცნობის პასუხად ახალი გადდებული ვალდებულებები იკისრეს.

ახალი პროდუქციით აღნიშნეს

ბათუმი. ყრილობის დღეებში ბათუმელმა გემთმშენებლებმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. მათ სახელმწიფო კომისიას წარუდგინეს წყალქვეშაფრთიანი კატარღა „ვოლგა 275“-ის სათაო ნიმუში.

ადვილი არ იყო ახალი რთული პროდუქციის ათვისება. კოლეტიკეის (დირექტორი ვ. რუხაძე) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა სიძნელე გადალახულია, უკვე შეუფუძნენ პირველი სერიული ნიმუშების გამოშვებას.

ახალი კატარღა წინამორბედი კატარღებისაგან განსხვავდება იმით, რომ უფრო ლამაზი და კომფორტაბელურია. მეტ ვეზვერს იტვეს. მანქანის სიჩქარე საათში 70 კილომეტრამდე გაიზარდა. **(საკ. კორ.).**

ჯილდოები შეჯიბრების გამარჯვებულებს

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს სამრეწველო საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების კოლექტივების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და 1975 წლის მეოთხე კვარტლის შედეგებით დაამტკიცეს გამარჯვებულნი.

გამარჯვებულთა შორის არიან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, რომელსაც მიენიჭა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს „ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ კოლექტივები. მათ გადაეცათ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემია დაიჩაჩუხარა თბილისის ცხიმკომბინატის კოლექტივმა.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მასალები და 1975 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით დაამტკიცეს გამარჯვებულნი.

ლანჩხუთელმა მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. ტრაქტორების შეკეთების თანვარ-თებერვლის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს — 24-ის ნაცვლად შეკეთეს 30 ტრაქტორი. მოწინავე მექანიზატორებმა 3 ათას ტონაზე მეტი მინერალური სასუქები მიზიდეს კოლმეურნეობებში. მზად არის ტექნიკა საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

გ. ჩხაიძე.

გაზაფხული გვიხმობს

ტექნიკაც, თესლიც...

„საქსოფლტექნიკის“ მაიაკოვსკის განყოფილებაში (მთავარი ინჟინერი გ. თავხელიძე) სულ წესრიგში მოიყვანეს საზოგადოებრივ მეურნეობათა 75 ტრაქტორი, ამდენივე მისაბმელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ეს საკმარისია მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების მაღალ აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის.

საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს და კონდიციამდე აიყვანეს სამინდის თესლი ოხის ლენინის სახელობის, ობჩის ორჯონიკიძის სახელობის, საკრაულას მაიაკოვსკის სახელობის, ფერსათის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

განსაკუთრებით იბეჯიდეს, ვეგმის ზევით მოიმარაგეს და კონდიციამდე აიყვანეს სოიის თესლი ობჩის ორჯონიკიძის სახელობის, საკრაულას მაიაკოვსკის სახელობის, დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მაიაკოვსკელ მშრომელთა საბრძოლო დეკეზია საგაზაფხულო თესვა აროტექნიკურ ვადებში დამთავრონ.

გ. ლაბაძე.

პირობა შესასრულეს

ლანჩხუთი. (ხაკ. კორ.). „საქსოფლტექნიკის“ ლანჩხუთის განყოფილების (უფროსი ა. კალანდარიშვილი) მექანიზატორები ერთი წელია ფლობენ „საკოფლტექნიკის“ და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას, რომელიც მათ მიეკუთვნა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ლანჩხუთელმა მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. ტრაქტორების შეკეთების თანვარ-თებერვლის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს — 24-ის ნაცვლად შეკეთეს 30 ტრაქტორი. მოწინავე მექანიზატორებმა 3 ათას ტონაზე მეტი მინერალური სასუქები მიზიდეს კოლმეურნეობებში. მზად არის ტექნიკა საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

გ. ჩხაიძე.

გეგმის უთუო შესრულებისათვის

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშაც განიხილა რესპუბლიკის სამშენებლო და სამრეწველო ორგანიზაციათა მომდინარე წლის ორი თვის მუშაობის შედეგები და პირველი კვარტალის გეგმის შესრულების ღონისძიებანი.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

აღინიშნა, რომ ძირითადი ფონდების ამოქმედების, კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ათვისების ორი თვის გეგმები მთლიანად არ შესრულებულა. ჩამორჩენა საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაა; საიჯარო სამუშაოთა გეგმა ვერ შესრულეს ძირითადმა საიჯარო ორგანიზაციამ — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, აგრეთვე ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტმა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველომ, რომელშაც შარშანდელზე უარესად იმუშავა.

თათბირზე აღინიშნა, რომ უაღრესად საბერია, როგორც ამას სკკპ XXV ყრილობა მოითხოვს, შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მეტად დიდია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასამუშავებელი ობიექტების ამოქმედების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის ტემპის დაჩქარებას, რაც ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აღინიშნა, რომ პარტიულ კომბინატებმა უნდა გააქტიურონ თავიანთი გავლენა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობაზე.

თათბირზე გამოსული სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების უმრავლესობამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ მათი კოლექტივები აანაზღაურებენ გაცდენილს და კვარტალურ გეგმას მთლიანად შეასრულებენ.

თათბირზე გამოსულმა ხელმძღვანელმა პარტიულმა მუშაკებმა ალაპარაკეს ღონისძიებებზე, რომლებსაც პარტიული კომიტეტები ახორციელებენ მშენებლობაში ჩამორჩენის დაძლევისა და პირველი კვარტალის გეგმის უთუო შესრულებისათვის. ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს მშენებლობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, შეეხენენ მომმარაგებელი და საფინანსო ორგანოების წარმომადგენლები.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

11 მარტი

„პრავდის“ ფურცლებზე

მეთაური წერილი — „ახალი ეტაპი კომუნიზმის გზაზე“, რომელსაც დღეს „კომუნისტი“ აქვეყნებს, „პრავდის“ გუშინდელი ნომრიდან არის გადმობეჭდილი.

„დრო შეამოძმედებისა!“ ამ საერთო სათაურით გამოქვეყნებული მასალები მკითხველს მოუთხრობს, თუ როგორ იკრეს ძალას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად გაწლილი სოციალისტური შეჯიბრება.

„დამკვრელური ვახტი ბრძოლდება“, „საგაზაფხულო მარნრუტებთან“, „პარტიული ცხოვრება: ქრილობის შემდეგ“, „ჩვენი მიღწევებები“, „წერილები „პრავდას“, „მიმდინარეობს ექსპერიმენტი“, „ფოველდღიური საქმეთა რომანტიკა“, „მგზავსვარის გვერდით“, „პრავდა“ გამოვიდა. რა გაკეთდა?“, „ფაქტი და კომენტარი“, „საერთაშორისო ინფორმაცია“, „სიახლენი“, „ბაასი საინტერესო მოსაუბრესთან“, „ვაუკაცობის კანონებით“, „სპორტი“, „ბუნების სიუჟარულით“, ეი ის მრავალფეროვანი ძველი და ახალი რუბრიკები, რომლებსაც მკითხველი გუშინდელ ნომერში ნახავს.

წყალში ჩაუშვეს ატომური ყინულმჭრელი „სიბირი“ ამუშავდა უნიკალური ოტტიური ტელესკოპი, შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მძლავრი ტურბოგენერატორი, დაიწყო ახალი თვითმფრინავ ვ ი ს იაკ-42-ის საფრენოსნო გამოცდა... საბჭოთა ადამიანების დამკვრელ ურ ი შრომის ამ ბრწყინვალე შედეგებზე სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან ილაპარაკა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. „პრავდის“ კორესპონდენტები შეხვდნენ „იაკ“-ების განთქმული ოჯახის შემქმნელს, საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელს ა. ს. იაკოვლევს. ამ მასალას, რომლის სათაურია „სახელი ფრთებზე“, გაზეთის მეექვსე გვერდზე გაეცნობით.

აქვე რუბრიკით — „სიახლენი“ დაბეჭდილია „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტის ბ. ლებანიძის კორესპონდენცია — „ბიფეთეთ კუროტრტ“, სადაც ნათქვამია, რომ ბორჯომში დამთავრდა კიდევ ერთი ჯანმრთელობის კერის — 500 ადგილიანი „თბილი ი ი ს“ მშენებლობა. გაიხად ამოქმედდება თოთხმეტსართულიანი სანატორიუმი „მთის ხეობა“. გათვალისწინებულია სანატორიუმის აგება სოფლის მშრომელთათვის. ამჟამად ბორჯომში ყოველწლიურად 40 ათასი კაცი ისვენებს და ჯანმრთელდება.

ПРАВДА

საბჭოეთის ახალი ამბები

□ **ამურის კომსომოლსკი.** — ამურის კომსომოლსკის ნავთობსადენის მეორე რიგის მშენებლები შეუდგნენ ამურის გადალახვას. წყალქვეშა ტრანშეის გაყვანასთან ერთად ნაპირზე ადუღებენ ქილოტერნახეერიან ფუძეს, რომელსაც ჩადგენენ შორეულ აღმოსავლეთში უდიდესი მდინარის — ტასის ბოლო წყლის ზღუდის ფსკერზე. ამ ნაგობსადენის პირველი ხაზი დიდი სამამულო ომის წლებში ამოქმედდა. მისი მეორე რიგი კი წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

□ **ვლადივოსტოკი.** ჩუგუევკაში სახელმწიფო კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო კომბინების შემკეთებელი ფაბრიკა. ეს მეორე ასეთი სპეციალიზებული საწარმოა, რომელიც ზღვისპირეთის მხარეში აიგება. თვითეულ მაგალაში ყოველწლიურად „მკურნალობის კურსს“ გაიკლის ასი და მეტი მარცვალასილები მანქანა, ხუთწლედის დამლევისათვის მხარის მთავარ სასოფლო-საკეთრნეო რაიონებში ამოქმედებს ათი ასეთი დეპო-კომბინების „კაპიტალურ-შემკეთებელი ქარხნის ფილიალი.

□ **ბაკო.** ბამბის დასათესი დამლაშებული ნიადაგების გარეცხვა დამთავრეს აზერბაიჯანის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. გამტკნარებული მასივების ფართობმა 66 ათას ჰექტარს გადააჭარბა. ვადამდე შეასრულეს ნიადაგის გაჯანსაღების სამუშაოთა დაგეგმილი შოცულობა რესპუბლიკის ძირითადი ბამბის ბეღლის, — მეღანის ველის მებამბეებმა. მიმდინარე ხუთწლეულში სამელიორაციო და წყალ-სამეურნეო მშენებლობას აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში მოხმარდება 910 მილიონი მანეთი — 1,7 ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში.

□ **ბირობიჯანი.** ტრანსფორმატორების ქარხანაში გამოუშვეს ათასი კილოვატამპერი სიმძლავრის კომპლექსური სატრანსფორმატორო ქვესადგურების პირველი პარტია. ესენი თავიანთ წინამორბედებზე თითქმის ერთი სამად მძლავრია და მათ მძიმე მრეწველობის საწარმოებში გამოიყენებენ. მომდინარე ხუთწლედში ასეთი ქვესადგურები საწარმოს პროდუქციის ძირითადი სახეობა იქნება. მათი წარმოებისათვის ამენდა რამდენიმე ახალი საამქრო, რომლებიც აღჭურვილია პროგრამული მართვის ჩარხებითა და სხვა თანამედროვე მოწყობილობით.

□ **იუჟნო-სახალინსკი.** წყნაროკეანის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სახალინის ფილიალის სპეციალისტებმა შეიმუშავეს მათემატიკური მოდელი „ზღვის კატა“. ეს ერთ-ერთი განყოფილებაა ზღვის კატის ლაბორატორიის სამუშაოთა კომპლექსური პროგრამისა, რომელიც გათვალისწინებულია რამდენიმე წლისათვის. პროგრამის მთავარი მიზანია გამოარკვიოს ზღვის კატის რიცხოვნობის მერყეობის მიზეზები, შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებები სელაპების ეკონომიკაზე ზღვის კატის მეურნეობის რაციონალური გაძღოლისათვის. (საკინფორმი).

მეათე ხუთწლედის ვახტზე

პირველი დეკადის გეგმა — ვადამდე

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი მეათე ხუთწლედის შრომითს ვახტზე დგას და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. კომბინატმა ვადამდე შეასრულა იანვრისა და თებერვლის გეგმები. აქ ძირითადად ქალები მუშაობენ, ბევრმა მათგანმა უკვე გაანალდა მარტის პირველი დეკადის დავალება. **სურათზე:** მუშაქალთა ერთი ჯგუფი, რომელებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი და პირველებმა შეასრულეს მარტის პირველი დეკადის გეგმები — მკერავები ციური ნატროშვილი (მარცხნიდან), ელიკო ღუდუშაური, დალი თაბაგარი, მრთველები ნანული ჯიმშელეიშვილი, მარიამ მამაცაშვილი.

ვლ. ბენზაშრის ფოტო.

მთელი ჩვენი ძალღონე და შრომა — ხუთწლედს!

ყრილობის დღეებში, ყრილობის შემდეგ

სოფლის მშრომელთა საკავშირო შეჯიბრება

ორი ხუთწლედი — ერთ ხუთწლედში!

ᲡᲙᲙᲞ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲐᲛᲝᲡᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ დამთავრების შემდეგ მერი აბესაძეს, როგორც იტყვიან, ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა მშობლიურ საამქროში. და ეს ბუნებრივიცაა. მოსკოვის, ყრილობის შთაბეჭდილებებს ხომ გადმოცემა უნდა, და, აბა ვის უნდა გაუზიარო ყოველივე ეს, თუ არა შენს მეგობრებს, ამხანაგებს?

საამქროშიც დიდი ინტერესით ელოდნენ კომუნისტების დიდ ფორუმზე წარგზავნილ თავიანთ დელეგატს. თუ ადრე იგი სამუშაოზე ნახევარი საათით ადრე მოდიოდა, ახლა საათნახევრის თადარიგი დაეჭირა.

— თქვენ იცით, რომ დიდი სიტყვის ოსტატი არასდროს ვყოფილვარ, — განუცხადა მერი აბესაძემ სახელდახელოდ შეკრებილ თანამოსაქმეებს, — მაგრამ ახლა სათქმელი მაინც ბევრი მაქვს...

— წილად მხვდა ბედნიერება — დავსწრებოდი პარტიის XXV ყრილობას და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი რაოდენ ზრუნავენ მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ადამიანის კეთილდღეობისათვის, ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. მეათე ხუთწლედში წარმოების მოცულობასთან ერთად 16-18 პროცენტით გაიზრდება მუშაობისა და მოსახსახურეების საშუალო ხელფასი, გათვალისწინებულია შრომის პირობებისა და დაცვის შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი მომუშავე ქალების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ყრილობაზე განსაკუთრებული ხმაბაასი იყო სოციალური უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხესხების შემდგომი დაფარვის, სასურსათო და არასასურსათო სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის და სხვათა შესახებ...

მერი აბესაძე განსაკუთრებით შეჩერდა ჩვენს ქვეყანაში ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებზე და ამ მხრივ ქარხნის წინაშე მდგომ ამოცანებსაც შეეხო...

როცა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში საფუძველი ჩაეყარა ახალ მოძრაობას — **დღეს მოწინავის მიზნა ხვალ თვითეულის ნორმად ექცეს**, აბრეშუმის საგრეხ საამქროში გამოჩნდნენ სკეპტიკოსები. მათ თქვეს:

— ჩვენთან ეს სიახლე ფეხს ვერ მოიკიდებს, ორი მგრეხავი ემსახურება ერთ დაზგას, ეს არის და ეს. მათ არავითარი რეზერვები არ გააჩნიათ, რომ დაამსხვრიონ ძველი ნორმებიო...

ამ დროს კი მერი აბესაძეს, რომელსაც უკვე ხელთ ეპყრა მგრეხავის საამაყო პროფესია, დაებადა აზრი იმუშაოს გაშლილი ფრონტით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მომსახურება გაეწია ერთნახევარი დაზგისათვის. ამაზე კი ურწმუნონი სულ მთლად გადაირივნენ: ეს როგორ, ორი სპეციალისტი ძლივს აუდის ერთ დაზგას და მერი როგორღა ამირებს ნეტავ ერთნახევარ დაზგას მოუაროსო.

ცხადია, პირველ ხანს ნოვატორს ნამდვილად გაუჭირდა გაფართოებულ ზონაში მუშაობა. ამ სიახლის დანერგვას თან ახლდა ნრავალი სიძნელის და წინააღმდეგობის გადალახვა, საჭირო იყო ტექნიკური ლიტერატურის წაკითხვა, ნოვატორული დაკვირვებანი, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების გამონახვა.

როცა იდეა სწორია, ყოველთვის მოიძებნება ხალხი მისი განხორციელების გზები და საშუალებები. აქაც ასე მოხდა. ორი თვეც კი არ დასჭირებია მერი აბესაძეს აეთვისებინა ახლებურად მუშაობა.

სულ ახლახან დაიანგარიშეს გაშლილი ფრონტით მუშაობის მერისეული შედეგები, და აი რა უჩვენა მან: **მერი აბესაძე უკვე 1978 წლის ივნისის ანგარიშში მუშაობს. მას მეცხრე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუსვამია აქვს 93,5 ტონა აბრეშუმის ძაფი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მ. აბესაძე გაუწილი ფრონტის ვეთოდით მესაძე წელია მუშაობს, გამოდის, რომ იგი დღიურ ნორმებს ერთნახევარჯერ და ზოგჯერ ორმაგადაც ასრულებს.**

1967 წელი მუდამ წარუშლელი დარჩება მის მეხსიერებაში. სწორედ ამ წელს დასრულა მან ხაშურის საშუალო სკოლა და სამუშაოდ რუსთავისაკენ გაეშურა. ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, ისე როგორც თვით ახალგაზდა ქიმიკოსი მ. აბესაძე, ფეხს იდგამდა, ცხოვრების საგზურს იღებდა.

აბა რა იცოდა მაშინ მერიმ, რომ სამი წლის შემდეგ იგი „შრომის დამკვრელის“ ტიტულს დამსახურებდა, ხოლო 1973 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდებოდა. არ გასულა ერთი წელიც და მერი აბესაძის მკერდი ახლა უფრო დიდმა ჯილდომ — ლენინის ორდენმა დაამშვენა. მიღებული აქვს აგრეთვე სამკერდე ნიშანი წარწერით „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული“.

როცა მერი აბესაძე სკკპ XXV ყრილობის დელეგატად აირჩიეს, კოლეკტივში ერთსულოვნად თქვეს: ისეთ დიდ ფორუმზე, როგორც ჩვენი პარტიის ყრილობაა, სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იგზავნებოდნენო!

ᲥᲠᲔᲛᲚᲘᲡ ყრილობათა დარბაზში ზის ფეიქარი ქალი, ხელთ ჯიბის ბლოკნოტი უჭირავს და შიგ მრავალ საინტერესო დეტალებს იწერს.

აი ერთ-ერთი მათგანი: **ᲣᲬᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ 1980 ᲬᲚᲔᲚ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲐ 1.450-1.500 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ, ᲒᲐᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲝᲗ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲒᲐᲕᲨᲠᲝᲑᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲓᲔᲡᲣᲚᲘᲐ ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲥᲦᲘᲡ ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘ.**

ხუთწლედის ეს ამოცანა, ფიქრობს თავისთვის დელეგატი, ენერგიული შრომით უნდა იქნას შესრულებული. ახლა, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ქვეყნის მოწინავე ფეიქრების გამოცდილებათა გულდასმით შესწავლა. მერე ვისგან შეიძენება მაგალითის აღება? და აი მოაგონდა, რომ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სხვა მოწინავეებთან ერთად დაასახელა ცნობილი მგრეხავი, სოციალისტური შრომის გმირი ᲔᲚᲔᲜᲔ ᲐᲛᲝᲡᲝᲕᲐ.

ყრილობის სხდომიდან სახტუმროში რომ დაბრუნდა, გაარკვია, რომ ელენე ამოსოვა — ივანოვის ოლქის ქალაქ ფურმანოვის № 2 საბჭოსაგრები ფაბრიკის სახელმოხვეჭილი მუშა იმავე სართულზე ცხოვრობს, რომელზეც თვითონ.

— შევხვდები, გავუმეცლვნებ სურვილს, რომ მასთან მეგობრობა მსურს, — გაიფიქრა მან.

შეხვედრა შედგა. დიდხანს ისაუბრეს რუსმა და ქართველმა ფეიქრებმა თავიანთ საქმიანობაზე, წარმატებებზე. მომავალზე. მერი აბესაძემ აქ შეიტყო, რომ ელენე ამოსოვას ვალდებულება ერთ ხუთწლედში ორი ხუთწლედის ნორმის შესრულებას ითვალისწინებს.

— მე შევიმუშავე, — უთხრა ელენე ამოსოვამ თანამოსაქმეს, — პირადი ზუსტი გრაფიკი გაფართოებულ ზონაში მუშაობისა და განსაზღვრე მოქმედების ათი ძირითადი პუნქტი. ამ პუნქტებით გათვალისწინებულია თითისტრების ცალკეული ჯგუფის, მანქანის ყოველი მხარის ზუსტად გრაფიკის მიხედვით შემოვლა და წყვეტიანობის რაც შეიძლება დროული ლიკვიდაცია...

ბევრი რამ ენიშნა ქართველ ქიმიკოსს ამ საუბარში: მეც ხომ დაახლოებით ასეთივე წარმატებებს ვაღწევ, ახალი ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში ვმუშაობ, მეც ხომ გაფართოებული ზონა მაქვს, ხომ შემიძლია იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიო?..

ელენე ამოსოვამ ქართველი კოლეგის წინადადება სიხარულით მიიღო, გულწრფელად აღიარა, რომ ქართველ თანამოსაქმესთან ურთიერთკავშირი მას მუდამ საამაყოდ და სამახსოვროდ დარჩება.

ჯერ გაურკვეველია მერი აბესაძე ეწვევა პარველად ელენე ამოსოვას, თუ ივანოველი ფეიქარი იქნება ქართველ ქიმიკოსთა სტუმარი, მაგრამ ერთი კი თვალნათლივ ჩანს: მეათე ხუთწლედის ზლუდეების დასალაშქრავად საფუძველი ეყრება სოციალისტურ შეჯიბრებას, ახალ ინიციატივას, თაოსნობას ადამიანების მოზღვავებულ სურვილს — იყვნენ მუდამ მოწინავეთა რიგებში, საქმით უპასუხონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

Ზ. ᲛᲔᲠᲐᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, მგრეხავი მერი აბესაძე.
ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.

ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ქსელში სკკპ XXV კრილობის მასალების შესწავლაში ხელმძღვანელობა დავალებული აქვთ ყველაზე მომზადებულ და გამოცდილ პროპაგანდისტებს. ცოცხლად და საინტერესოდ ჩაიარა მეცადინეობამ ეკონომიური ცოდნის საფუძვლების სკოლაში, სადაც პროპაგანდისტია კადრების განყოფილების ინსპექტორი ს. გრენადეროვი. ამ სკოლაში მეცადინეობენ სხვადასხვა საამქროს ხარატები, ზეინკლები, მღარავები; ყველანი კომუნისტები არიან.

პროპაგანდისტმა ილაპარაკა, თუ როგორ იბრძვიან საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ხალთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გავრცელებისათვის, დაახასიათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა. შემდეგ მან სთხოვა მსმენელებს თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების პირველ ნაწილში მოცემულ საკითხებზე.

დიდი სამამულო ომის მონაწილემ, საამქროს საამქროს ზეინკალმა ი. ლებედევმა აღნიშნა, თუ როგორ იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან, თუ რა უდიდესი მიღწევები მოიპოვა სოციალიზმის სამკარომ.

განთავისუფლებულ ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებას, მსოფლიო ვანვითარებაში მათი როლის ამაღლებას მიუძღვნა თავისი გამოსვლა მექანიკური საამქროს მღარავმა ა. არაქელოვმა. თუ როგორ ვითარდება ჩვენი ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ამის შესახებ ილაპარაკა სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალმა ხ. ჩებოტარიოვმა. ყოველი გამოსვლა გამსჭვალული იყო სიამაყით ჩვენი პარტიისათვის, რომელიც წარმატებით ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს. (საქინფორმი).

ᲐᲡᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ მუშაობის დღეებში და მისი დადამთავრების შემდეგ მრავალი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში. ცალკეული ბრიგადების მიხედვით გაიმართა მიტინგები, ავიღეთ გადიდებული ვალდებულებანი. კოლექტიურად ვნახეთ ტელევიზორით ყრილობის მუშაობისადმი მიძღვნილი გადაცემები. პარტიული განათლების წრეებსა და ეკონომიური სწავლების სკოლებში პირველი მეცადინეობები მიეძღვნა ყრილობის მასალების შესწავლას. ამ დღეებში თავიანთი უბნების ხშირი სტუმრები გახდნენ ავიტატორები და პოლიტინფორმატორები, რომლებიც ყრილობის მასალებზე საინტერესოდ ესაუბრებიან მსმენელებს.

სკკპ საიუბილეო XXV ყრილობას საეტაპო მნიშვნელობა აქვს და ჩვენც, მეურნეობის მუშები, მას კოლექტიული საქმით ეუპასუხებთ. წელს ვაწარმოებთ და სახელმწიფოს მიეყიდით 10.200 ტონა ყურძენს, სიმინდის მოსავლიანობას ჰექტარზე 25 ცენტნერამდე გავზრდით, თვითეული ფურის წველადობას 2.200 კილოგრამამდე ავიყვანთ. ჩვენგან ქვეყანა წელსაც მიიღებს 185 ტონა რძეს, 26 ტონა ხორცს, დიდძალ ბოსტნეულსა და ხილს.

Შ. ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲘᲫᲔ,
საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ

□ ᲑᲝᲠᲘᲡ რაიონის კომუნისტთა წარმომადგენლობა სკკპ XXV ყრილობაზე შინდისის საბჭოთა მეურნეობის ნოვატორ მეჭარხლეს ვერა თათარინოვას ხვდა წილად. ეს პატივი მან განეცალა ხუთწლედში თავდადებული, მუყაითი შრომით მოიპოვა. კიდევ ხუთწლედი სამ წელიწადში შეასრულა.

საინტერესო და გულთბილი იყო ყრილობის დელეგატის გამოსვლა თავის შმოლიარ მეურნეობის კოლექტივთან. მან ერთგვარი ანგარიში ჩააბარა. თავის თანამოსაქმეებს, აღტაცებით, სიამაყით ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა - ყრილობაზე დაყენებულმა საკითხებმა, დებულებებმა, დასკვნებმა, და ვალდებულება იკისრა წელს ჰექტარზე გადაანგარიშებით 333 ცენტნერის ნაცვლად 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანოს.

Გ. ᲗᲐᲥᲐᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ კორ.

□ დიდი სიხარულით შეხვდნენ მოხევენი სკკპ XXV ყრილობაზე თავიანთ დელეგატს, სოფელ სიონის ა. ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწყემს გივი სეთურიძეს, რომელიც მოსკოვიდან დაბრუნდა.

მან თანასოფლელებს მოუთხრო ყრილობის შთაბეჭდილებებზე, ჩვენი ქვეყნის გულზე — მოსკოვზე, დაუვიწყარ შეხვედრებზე. ყურადღება გაამახვილა იმ ამოცანებზე, რაც ყრილობის მიერ დასახულია სოფლის მშრომელთა და კერძოდ მეცხოველეთა წინაშე.

მწყემსებმა დელეგატს აცნობეს, რომ მის ფარაში, რომელიც ნოდის ტრამალებში ზამთრობს, დოლი წარმატებით მიმდინარეობს. თვი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ზამთრის საძოვრებზე, რათა განაგრძოს მეცხვარე მწყემსის სახელოვანი შრომა.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

□ ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. რაიონიდან კომუნისტთა დიდი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სოფელ სანაორის კოლმეურნეობა „მეორბრობის“ თავმჯდომარე ა. მარგალიტაშვილი. მოსკოვიდან დაბრუნდა და ანგარიშით წარსდგა თანასოფლელების წინაშე.

—პარტიის XXV ყრილობის მუშაობის დღეები სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში — თქვა ა. მარგალიტაშვილმა. მეცხრე ხუთწლედში ცუდი შედეგები არა გვქონია, მაგრამ ყრილობაზე დავრწმუნდი, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაგვიკეთებია. ბევრ მოწინავე ადამიანს შევხვდი და მათმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ, თუ უფრო გონივრულად გამოვიყენებთ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, ჩვენი კოლმეურნეობა მართლაც სანიმუშო და მისაბაძი გახდება. ძალღონის დაუზოგავად უნდა ვიმრომოთ ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

Ა. ᲗᲕᲐᲚᲘᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲒᲣᲚᲪᲘᲕᲘ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲯᲚᲔᲑᲘ, ᲣᲒᲔᲛᲣᲠᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗ „კომუნისტის“ 5 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „გულცივი მასპინძლები, უგემური კერძები“. ამის გამო პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ა. ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** რედაქციას სწერს:

გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის შესაბამისად პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა „თბილგვირაბმშენის“ № 7 გვირაბგამტარი ნაგებობა და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „წყალმშენის“ № 5 სამმართველოს სამშენებლო ობიექტებზე ვაკრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა საკითხი.

სტატიაში მოყვანილი ფაქტები ბიურომ სწორად ცნო და ტბილისს სავაჭრო ობიექტებში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო თანამდებობიდან მოხსნა და სათანადო პარტიული სასჯელი დაადო — გამოუცხადა სასტიკი საყვედური საორგანიზეო ბარათში შეტანით ასურეთის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ვ. ბარამიძეს.

ტბილისს სავაჭრო ობიექტების სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგებისადმი სუსტი კონტროლისა და ნაკლები თანხების სახელმწიფო სალაროში შეტანის მოუწესრიგებლობისათვის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს გ. პეტრიაშვილს, მთავარ ბუღალტერს ა. ბახუტაშვილს და რაიკოოპკავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ტ. ბექაურს გამოეცხადათ საყვედური.

ტბილისს მოსახლეობის **ᲙᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ** ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ არსებული ნაკლოვანებებ ი ს ა თ ვ ის მიეთითა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართვ ე ლ ო ს უფროსს ა. კობაიძეს. რაიკომის ბიურომ ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამო გააფრთხილა ავრეთვე რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ე. ოგანოვა, ასურეთის მომხმარებელთა საზოგადოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები ტ. მეტრეველი და ი. თეგაძე, ვაკრობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე ს. ლონდარიძე.

ბიურომ დაავალა რაიკოოპკავშირის გამგეობას განიხილოს ასურეთის მომხმარებელთა საზოგადოების სავაჭრო განყოფილების გამგის ვ. აღდგომლაშვილისა და საზოგადოებრივი კვების უფროსის ე. ამურელაშვილის საკითხი და გაატაროს სათანადო ორგანიზაციული ზომები.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ტბილისკუმბისის წყალსაცავის მშენებლობის ობიექტებზე მომუშავე მშრომელთა საკვებრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: ამავე საკითხზე თითქმის ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ცეკავშირის გამგეობამ, რომელიც გამოქვეყნებულია „კომუნისტის“ 14 თებერვლის ნომერში.

ყოველივე ამის შემდეგ განსაცვიფრებელია ასურეთის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის ამხ. ვ. ბარამიძის განცხადება, რომელიც არც სტატიის ავტორს ეთანხმება, არც ცეკავშირის გამგეობას და არც პარტიის რაიკომის ბიუროს და იმტკიცებს იმ ფაქტს, რომ „გასული წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით, კოოპორგანიზაციებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ასურეთის მომხმარებელთა საზოგადოებას გადაეცა რაიკოოპკავშირის გამგეობის, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის გარდამავალი დროშა, რომელსაც დღემდე ფლობენ“ — და უარყოფს კრიტიკას.

ჩვენ არ ვიცით რა მონაცემები ჰქონდათ მხედველობაში რაიკოოპკავშირის გამგეობას და პროფკავშირის რაიკომს, როცა გარდამავალი დროშა მიაკუთვნეს ასურეთის მომხმარებელთა საზოგადოებას, მაგრამ დარწმუნებული ვართ: მათს ხელმძღვანელებს გ. პეტრიაშვილსა და ს. ლონდარიძეს ან თვითონ ვ. ბარამიძეს როდისმე რომ ესადილნათ თავიანთ სასადილოში მშენებლებთან ერთად, უთუოდ შერცხვებოდათ იმ ჯილდოსი, იმ დროშისა და უსაფუძვლო თვითმართლებისა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲔᲯᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ, ᲛᲐᲮᲝᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲧᲐᲚᲔᲗᲐᲡ Მ. ᲮᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Თ. ᲕᲔᲗᲠᲘᲫᲔᲡ, Ვ. ᲒᲔᲠᲘᲫᲔᲡ, Ნ. ᲗᲝᲗᲝᲠᲐᲫᲔᲡ

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ წერილი რედაქციას ატყობინებდით, რომ სიმონეთში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც სოფელ მახოს საშუალო სკოლაში სწავლობენ, ყოველდღიურად ხუთ კილომეტრს გადიან ფეხით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი სოფელს არ გააჩნია, ავდარში სიარული უძნელდებათ.

თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ბაქრაძემ რედაქციას შეატყობინა: უკვე ჩატარდა სასოფლო ეზის ვაფართოების სამუშაოები. ამჟამად სიმონეთსა და ონტოფოში მცხოვრებ მოსწავლეებს მახოს კოლმეურნეობის ავტობუსი და ერთი სატვირთო მანქანა ემსახურება.

თვითდინების შედეგი

ᲬᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲬᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ

ᲛᲐᲠᲗᲘ კარგახანია დადგა. მაგრამ ისევ თოვლი ფარავს სამხრეთ ოსეთის ვენ-მინდვრებს. ზნაურის რაიონის მექანიზატორებს ჰგონიათ, გაზაფხული ცხრა მთას იქით არისო, ისინი ზამთრის ძილიდან გორელ მექანიზატორთა პატრონტელა თაოსნობამაც ვერ გამოაღვიძა. რაიონის არც ერთი მექანიზატორი არ გამოხმაურებია ამ შესანიშნავ თაოსნობას.

რა მდგომარეობაშია ზნაურის რაიონის მეურნეობათა სამანქანო-სატრაქტორო პარკი? როგორ ემზადებიან 1976 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის?

დაიწყოთ „საქსოფლტექნიკის“ ზნაურის რაიონული განყოფილებიდან, რადგან მან უნდა უზრუნველყოს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორების, კომბაინების, ავტომანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება.

სარემონტო სახელოსნოდან ჩამოიუმი არ ისმოდა.

— საოცარია, საქართველოს მექანიზატორები გულმოდგინედ ემზადებიან გაზაფხულისათვის, თქვენ კი?! — ვეკითხებით სახელოსნოს გამგეს.

— რა ვქნათ, — ამბობს სახელოსნოს გამგე ანატოლი ლობოვი, — ავერ ხუთი თვეა არც ერთი ნაწილი არ მიგვიღია. ვერ ეიშოვეთ უკანა ხიდის ნაწილები, სამუხრუჭე ღვედების მაღალი წნევის ძილები. ამის გამო მანქანები არაფის მოაქვს შესაკეთებლად. სახელოსნოში ამავე დროს არ გვყავს მუდმივი შემკეთებელნი.

ცხადი გახდა, თუ „საქსოფლტექნიკის“ ზნაურის რაიონული განყოფილების მექანიზატორებმა რატომ ვერ შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლის მეოთხე კვარტალის გეგმა.

— თუ სათადარიგო ნაწილებს ახლა მაინც დროულად მოგვაწვდიან, მაშინ ეფიქრობთ პირველ კვარტალშივე გამოვასწორებთ ჩამორჩენას, — აცხადებს სახელოსნოს გამგე.

რა მდგომარეობაშია ტექნიკა ზნაურის საბჭოთა მეურნეობაში? ეს მეურნეობა ახლადშექმნილია. მის განკარგულებაშია მეოდი კომბაინი, 9 სათესი, 20-ზე მეტი სხვადასხვა სახის ტრაქტორი, ნამჯის ხუთი საწნეხი, გუთნები, კულტივატორები, ფარცხები. კარგია, რომ ყველას თავი მოუყარეს ერთ ადგილას, მაგრამ მოვლა-პატრონობაზე ნაკლებად ზრუნავენ. ვერ ვიტყვით, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით ინჟინერ-მექანიზატორმა ლ. შიუკაევმა არ იცოდეს, რომ კომბაინი მოსავლის დაბინავების შემდეგ უნდა გაიწმინდოს მტვრისა და ნარჩენებისაგან, შეეხსნას ღვედები, მჭრელი ამარატი, მანქანა შეუყენდეს საყრდენებზე და საპურავები შეეთითრდეს, ისიც კარგად იციან, რომ თოვლისა და წვიმისაგან დასაცავად ძრავს უნდა დაეფაროს პოლიეთილენის საფარი.

ყველაზე სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ეს კარგად იციან და თავს არ იწუხებენ, არ აკეთებენ. როდემდის უნდა იდგეს ტალახსა და თოვლში ნამჯის საწნეხები? მათ ხომ ჟანგი ჭამს. რატომ არ შესტკივათ გული სოზოგადოებრივ ქონებაზე?

ასეთი უხეირო მუშაობის ბრალია ის, რომ მანქანა-ტრაქტორების შეკეთების გეგმა ჩაშალეს.

დიდი სამანქანო-სატრაქტორო პარკი აქვს ველების საბჭოთა მეურნეობასაც. მთელ ტერიტორიაზეა მიმოფანტული მანქანა-იარაღები. ზოგი ახლია, ზოგიც დაშლილ-გამოშიგნული. უყურადღებობით მწყობრიდან გამოდის ძვირფასი ტექნიკა.

ვნახეთ გაძარცული ტრაქტორი და სათესი. დიდი ხანი არ არის, რაც ისინი შეიძინეს, მაგრამ ბორტ ხელს მწყობრიდან გამოუყვანია, აღდგენაც ძნელია, დიდ თანხას მოითხოვს.

— ნუთუ დარაჯი არა გყავთ?

— როგორ არა, მაგრამ მან რა იცის, მექანიზატორი რომელ მანქანას არემონტებს და რომელსა შლის? ეს თვით რომელიც ბორტი მექანიზატორის „წყალობაა“, — გვეუბნება ინჟინერ-მექანიზატორის მოვალეობის შემსრულებელი რ. გობოზოვი.

ცხადია, ტექნიკის ასეთი „გულშემატკივრები“ ტექნიკის რემონტის გეგმასაც ვერ შეასრულებენ.

ცოტა უკეთესი მდგომარეობაა ბეყმარის საბჭოთა მეურნეობაში. მექანიზატორების ს. ძუნოვის, თ. ვანეევის, დ. ტასოევის, ზ. ჯაგაევის და სხვათა ენერგიული შრომის შედეგად გადაჭარბებით შესრულდა მანქანა-ტრაქტორების შეკეთების გეგმები, მაგრამ არ ეპატიებათ ბეყმარელ მექანიზატორებს, რომ სათესებისა და სილოსის ასაღები კომბაინის ნაწილები გასაწმენდი და შეუზეთავი აქვთ. ამ საბჭოთა მეურნეობის ახალი დირექტორი მ. იკაევი სპეციალობით ინჟინერი-მექანიზატორია. მითუმეტეს, სწორედ მას უფრო მეტი ზრუნვა მართებს ტექნიკაზე. მათ აქამდე თავიანთი მექანიზატორებისათვის გორელ მექანიზატორთა პატრიოტული თაოსნობა არც კი გაუცანიათ და მთელი ძალით არ გაუჭიანიათ სოციალისტური შეჯიბრება 1976 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. მანქანა-ტრაქტორთა პარკის დროულად და ხარისხიანად მომზადებისათვის.

გაზაფხული გვიჩქარებს. სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, მთელი ძალ

მსოფლიოს ამბები

ლიბანი

ტელ-ავივი განაგრძობს პროვოკაციების ესკალაციას

არგენტინა

ულტრამემარჯვენე ტერორისტთა მორიგი დანაშაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკითხი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

კორუფციის ეპიდემია

ნიუ-იორკი. (საკადესი). შეერთებულ შტატებში ვლინდება სულ ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის ბევრი დიდი მონოპოლია ფართოდ მიმართავს მოსყიდვას გახალების ბაზრებისათვის საკონკურენტო ბრძოლაში. ამერიკის შეერთებული შტატების კვების მრეწველობის სფეროს ორმა წამყვანმა კორპორაციამ „კარნეიშმა“ და „ჯონსონ ენდ ჯონსონმა“ აღიარეს, რომ 1968-1975 წლების მანძილზე მათ უცხოეთის თანამდებობის პირთ ქრთამად მისცეს 2 მილიონ დოლარზე მეტი.

ორივე კომპანიის წარმომადგენელთა აღიარებით, ეს სახსრები გაიდეს ხელსაყრელი კონტრაქტების მიღების მიზნით. მაგრამ მათ უარი თქვეს გაეთქვათ ქვეყნები და ის ოფიციალური პირები, რომლებმაც ქრთამი მიიღეს.

ამ ბოლო დროს ამერიკის 80-მდე უდიდესი კორპორაცია ამხილეს უცხოეთის ფირმებთან გარიგებებში დაღების დროს მაქინაციებში. ამ კამპანიას დასაბამი მისცა „ლოკჰიდ ეირკრაფტ კორპორეიშნის“ სკანდალურმა მხილებამ, რომლის მფლობელებმა უცხოეთის თანამდებობის პირთ დაახლოებით 24 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

პროვოკაციული გამოხდომა

პარიზი. (საკადესი). 7 მარტს პარიზში უცნობმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით სროლა აუტეხეს ირეროფლოტის წარმომადგენლობის ვიტრინებს, რის შედეგადაც წარმომადგენლობას მატერიალური ზარალი მიაყენეს.

აქ სამართლიანად აღნიშნავენ, რომ საქმე ეხება არა ცალკეულ შემთხვევას, არამედ ეს არის კამპანიის განკრძობა, რომელსაც ეწევიან საფრანგეთში საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები და ჯგუფები.

როგორც ცნობილი გახდა, საბჭოთა კავშირმა საფრანგეთის ხელისუფალთა ყურადღება მიაპყრო საფრანგეთში საბჭოთა დაწესებულებებისა და პერსონალის მიმართ პროვოკაციულ გამოხდომებს და მოითხოვა, რომ გადაუდებელი ღონისძიებანი განხორციელონ ამგვარი გამოხდომების აღკვეთისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ბრგობრულ ხასიათს. ისიც ცნობილია, რომ საფრანგეთის საზოგადოებრიობა აგრეთვე გმობს ამ დანაშაულებრივ მოქმედებას და მოითხოვს მის აღკვეთას.

მკვლელობა არგენტინაში

ბუენოს-აირესი. (საკადესი). აქ ცნობილი გახდა, რომ მოკლეს კორდოვის მუშათა ხელმძღვანელი, არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ალბერტო კაფარატი.

იგი ამა წლის 15 იანვარს მოიტაცა შეიარაღებულმა ბანდამ, როცა ამხანაგების ჯგუფთან ერთად გამოდიოდა თავისი საწარმოს ტერიტორიიდან. მას შემდეგ კაფარატის ასავალ-დასავალი არავის გაუგია. მაგრამ კორდოვის, ამ დიდი სამრეწველო ცენტრის მცხოვრებლებს ეგონა არ ეპარებოდათ, რომ მოტაცება ულტრამემარჯვენე ტერორისტების რეაქციის დაქირავებულების ხელის საქმეა, რომლებიც არაერთხელ დამუქრებიან კომუნისტს, რომ გაუსწორდებოდნენ.

არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის მკვლელობასთან დაკავშირებით არგენტინის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არგენტინელი ხალხი ამ საზიზღარ დანაშაულს ფაშისტური ტერორისა და რეაქციის ბრიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით უპასუხებს.

გამოსამაურება

შთამაგონებელი პერსპექტივები

● მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის

● წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში

ვაშინგტონი, (საკადესი). განმარტა რა XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების შესახებ-ამერიკელმა მრეწველმა, კომპანია „ჯენერალ ელექტრიკის“ გამგეობის თავმჯდომარემ რ. ჯონსმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის გეგმები საგარეო-ეკონომიურ დარგში, რომლებიც ყრილობამ მოიწონა, ამერიკის საქმიანი სამყაროს წამყვან წარმომადგენელთა დიდ უურადღებას იპყრობენ.

საგარეო ვაჭრობის მოცულობის არსებითი გადიდება, რაც გათვალისწინებულია ყრილობაზე დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით, შეესაბამება ამ პროცესის ყველა მონაწილის ინტერესებს, თქვა მან საკადესის კორესპონდენტთან საუბრის დროს.

ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი სამყაროსათვის ეს პროექტი ფრიად დამაიმედებელი ჩანს. ჩვენს ქვეყნებს აქვთ სხვადასხვა რესურსები, ხოლო მსოფლიოში, რომელიც სულ უფრო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ხდება რესურსების, ტექნოლოგიისა და გარემოს თვალსაზრისით, საქონლის გაცვლა სულ უფრო დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნების ბევრ ერთობლივ პროექტსა და ღონისძიებას შეუძლია დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური მიღწევები ჩაყენოს მთელი კაცობრიობის სამსახურში, როგორც ეს, კერძოდ, დაადასტურა „სოიუზ-აპოლონის“ ერთობლივმა კოსმოსურმა პროგრამამ, აღნიშნა რ. ჯონსმა.

კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საეჭვო ურთიერთობის საბჭოთა კავშირთან, ხაზი გაუსვა მან, და მწამს, რომ ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, რაც მსოფლიოში მყარი სტაბილურობისა და ხალხთა კეთილდღეობის საფუძველია.

ბონი. სკკპ XXV ყრილობის შედეგებს გულმოდგინედ სწავლობენ და აანალიზებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. წამყვანი გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ სსრ კავშირის იმ საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებების დიდ მნიშვნელობას, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტა და ყოველმხრივი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება. აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული კურსის თანამიმდევრულობას, კომუნისტური პარტიის რიგების შეკავშირებას. „ფრანკფურტერ ალგემაინე“ აღნიშნავს, რომ სკკპ ყრილობამ „სავსებით და გადაჭრით დადასტურა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი“.

გაზეთი „დოიჩე ფოლქსციტუნგი“ უურადღებას აპყრობს იმას, რომ იმ მომენტში, როცა საბჭოთა კომუნისტების ყრილობაზე მოსკოვში იხილავდნენ მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხებს, პეკინში მოეწყო შეხვედრები დასავლეთ გერმანიის რეაქციის წარმომადგენლებთან, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან ბუნდესტაგის დეპუტატებთან ა. დრეგერთან და ვ. მარქსთან. პეკინის ხელმძღვანელები, წერს გაზეთი, თანამოსაუბრეებს არწმუნებდნენ, ომი „გარდაუვალი“ და, არცთუ ისე ცუდი საქმეაო“. პეკინი, ნორნშნავს იგი ამასთან დაკავშირებით, აშკარად ცხადყოფს თავის სულიერ ნათესაობას მსოფლიოს ყველა რეაქციონერთან.

დელი. სკკპ XXV ყრილობამ ცხადყო სსრ კავშირის მზარდი ძლიერება და საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევები, წერს ინდოეთის ახალგაზრდული გაზეთი „მილიონთა ხმა“.

საბჭოთა კომუნისტების ფორუმმა, აღნიშნავს გაზეთი, დასაბამი მისცა მშვიდობის, პროგრესისა და აყვავების ახალ ერას და კიდევ ერთი ლახვარი ჩასცა კაპიტალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის პოზიციებს. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საქმიანობა, ხაზს უსვამს გაზეთი, დაწყებული ინდოჩინეთისა და ანგოლის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერით და დამთავრებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკის რეალიზაციით, მკაფიოდ ადასტურებს ამას.

ფოტოინფორმაცია

სურათზე: ბონის (გფრ) მცხოვრებლები დიდი ინტერესით ეცნობიან გაზეთ „უნზერეიტაიტში“ გამოქვეყნებულ მასალებს სკკპ XXV ყრილობის შესახებ.

საკადესის ფოტო.

მტკიცე ნაბიჯით

ე. გერეკის გამოსვლა ვარშავის კარტულ აქტივის კრებაზე

ვარშავა, (საკადესი). პოლონეთის გამართიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანმა ე. გერეკამ აქ გამართულ დედაქალაქის პარტიული აქტივის კრებაზე გააკეთა მოხსენება სკკპ XXV ყრილობის მუშაობის შესახებ. ეს ყრილობა, თქვა მან, საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი მოვლენაა. ყრილობის მიმდინარეობასა და გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავ საბჭოთა კომუნისტების პარტიისა და საბჭოთა ქვეყნისათვის, სოციალისტური სახელმწიფოების მთელი თანამეგობრობისათვის, პროგრესის, დემოკრატიისა და მშვიდობის მთელი ძალებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებანი მოიცავენ საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგს, სახაგენ სოციალიზმისა და მსოფლიო რევოლუციური პროცესის ძალების განვითარების ახალ პერსპექტივებს, განსაზღვრავენ მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში შემდგომი საქმიანობის მიმართულებებს.

სკკპ XXV ყრილობამ, და უწინარეს ყოვლისა მისმა მთავარმა დოკუმენტმა — ცენტრალური კომიტეტის ანგარიშმა ყრილობისადმი, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, თქვა შემდეგ ე. გერეკმა. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ჰუმანურობის ყველაზე დამაჯერებელი გამოხატულებაა მის მიერ მიღებული მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა. იგი ავითარებს და ამდიდრებს სკკპ XXIV ყრილობაზე გამოცხადებულ მშვიდობის პროგრამას, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტურ სახელმწიფოთა მთელი თანამეგობრობა.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ შეფასებას, რომლის თანახმად ახალი მსოფლიო ომის საფრთხის შეზღუდვისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს სკკპ XXV ყრილობაზე წამოყენებულ წინადადებას, რომ დაიდოს მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

საბჭოეთთან, სოციალისტურ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ერთად პოლონეთი აქტიურად უწყობს ხელს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას საყოველთაო და სრული განიარაღების მიზნით, გაანაცხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა იზიარებს სკკპ XXV ყრილობაზე გამოთქმულ თვალსაზრისს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების მნიშვნელობის შესახებ.

სკკპ XXV ყრილობა, თქვა შემდეგ ე. გერეკმა, გახდა სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის, მისი წარმატებული განვითარების, მსოფლიო მოვლენებზე სულ უფრო ძლიერი და ღრმა ზემოქმედების მანიფესტაცია. ეს გამოიხატა როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, ისე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მომავ პარტიათა წარმომადგენლების გამოსვლებში.

სკკპ XXV ყრილობამ კვლავ დაადასტურა თვითეული ქვეყნის კონკრეტულ პირობებში სოციალისტური მშენებლობის ზოგად კანონზომიერებათა შემოქმედებითი გამოყენების, თვითეული პარტიის მიერ პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის შეგამების ლენინური პრინციპი.

ე. გერეკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობამ ღრმად და კრიტიკულად შეაფასა ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობის პოლიტიკა, როგორც სოციალისტური პრინციპების და იდეალებისადმი ახოლუტურად უცხო პოლიტიკა. ჩვენი პარტია, თქვა მან, იზიარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიციას ამ საკითხში. მარქსიზმ-ლენინიზმთან შეუთავსებელი მაოიზმის იდეოლოგიისა და საგარეო პოლიტიკაში დაძაბულობის შენელების საქმისადმი მტრული ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობის კურსის წინააღმდეგ რომ ვილაშქრებთ, ამასთანავე მხარს ვუჭერთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის დამყარების მზადყოფნას.

სკკპ XXV ყრილობამ მთელი დამაჯერებლობით აღნიშნა, თქვა შემდეგ ე. გერეკმა, რომ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი წარმატებული განვითარების, საერთო მიზნებისათვის მისი ბრძოლის წარმატების ძირითადი წანამძღვარია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცება. ეს მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ამ პრინციპის უარყოფა ნიშნავს, რომ ჩვენს მოძრაობას წაართვა მისი ლახვარი და მორალური ძალის ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია მტკიცედ დგას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე.

ე. გერეკმა შთამბეჭდავი უწოდა ეკონომიკის დარგში ყრილობაზე შეჯამებულ შედეგებს. მოხდა, თქვა მან, საბჭოთის ეკონომიური პოტენციალის შემდგომი უდიდესი ზრდა. გადაიდგა ახალი დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე. ყრილობის გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავენ ამ კურსის თანმიმდევრულ განგრძობას.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოიწონეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციის საქმიანობა სკკპ XXV ყრილობაზე და განაცხადეს, რომ სავსებით უჭერენ მხარს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

საკადესი

ყოველი მხრიდან

ჩეხოსლოვაკია

პრაღა. წელიწადში 700 ათას ტონაზე მეტი ეთილენის საერთო მწარმოებლობის ორ დიდ ნავთობქიმიურ კომბინატს ნიდებენ ჩეხოსლოვაკია და ბუთწლეულში (1976-1980 წლები). ერთ-ერთი მათგანი, ქვეყანაში უდიდესი კომბინატი შენდება ქალაქ ზალუუში (ჩრდილოეთი ჩეხია) ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის ნავთობქიმიურ ქარხანაში, მეორე — ბრატისლავის კომბინატ „სლოვნაფტაში“. ამ ახალ ხიმძლავრეთა ამოქმედების შედეგად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში თითქმის ერთიორად გაიზრდება ნავთობის გადამუშავება და ბუთწლედის უკანასკნელ წელს 21 მილიონ ტონამდე გადიდდება.

ინგლისი

ლონდონი. ბრიტანეთის კუნძულების ღრმად მოხუცებული მცხოვრენი ინგლისის საზოგადოების ყველაზე მოუსაფარი წევრები არიან. „ღრმად მოხუცებულთა დახმარების“ ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ყოველ წელიწადს ინგლისში გაუთბობელ ბინებში სიცივით 45 ათასი პენსიონერი იხოცება. ფასების განუწყვეტელი ზრდა და ინფლაცია იწვევს იმას, რომ ბევრ მათგანს საშუალება არა აქვს ნორმალურად ჭამოს და გაითბოს ბინა.

შრი ლანკა

კოლუმბო. შრი ლანკის რესპუბლიკაში სინგალურ და ტამილურ ენებზე გამოვიდა ბროშურა, რომელიც შეიცავს სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენების სრულ ტექსტს.

ანგოლა

ლუანდა. ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის (მპლას) მოწოდებით ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში დაიწყო კამპანია დევიზით „ვისწავლოთ, რათა უკეთ ვიმუშაოთ“. მისი მიზანია დარაზმოს ლუანდისა და ქვეყნის სხვა ქალაქების ახალგაზრდობა და სტუდენტები, რათა დახმარება გაუწიონ სოფლებსა და სასოფლო რაიონებს მოსავლის აღებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში.

მპლასა და განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალგაზრდული ორგანიზაციის მოწოდებით სტუდენტთა პირველი ჯგუფები დედაქალაქიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გაემგზავრნენ.

მოკლედ

ნაყოფიერი თანამშრომლობა

ჰავანა. (საკადესი). გაჩაღებულია ჰავანის ავტობუსების ქარხნის რეკონსტრუქცია. კუბის ამ უდიდეს საწარმოში უნდა ამოქმედდეს ნაკადური საწარმოო ხაზი. გათვალისწინებულია მექანიზებული გახდეს ავტობუსების აწყობის ყველა ძირითადი პროცესი, რომელთა ბევრ კვანძსა და დეტალს სსრ კავშირი გზავნის.

ძნელია ჯეროვნად არ დაფასო ამ ქარხნის მნიშვნელობა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით, ამ ქარხანაში გამოშვებული მანქანები თავისუფლის კუნძულის ეხმარებოდნენ დაეძლიათ იმპერიალისტური ბლოკადის შედეგად შექმნილი სატრანსპორტო სიძნელეები, ხოლო თვით საწარმო გახდა კუბაში ეროვნული საავტომობილო ინდუსტრიის განვითარების საფუძველი.

1970 წლიდან განვლილ პერიოდში, როცა ქარხანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა, ავტობუსების რიცხვი ერთიხუთად გაიზარდა და შარშან 1.500 შეადგინა. ქარხნის საამქროებიდან უკვე გამოდიან ოთხი მოდიფიკაციის მანქანები, რომლებიც გათვალისწინებულია ქალაქებში, სოფლად, ძნელადმისადგომ მთიან რაიონებში ექსპლოატაციისათვის.

მთავრობის დამარცხება

ლონდონი, (საკადესი). ლეიბორისტულმა მთავრობამ გუშინ მარცხი განიცადა, როცა პარლამენტში კენჭს უყრიდნენ რეზოლუციას სოციალური ხაჭიროებისათვის გათვალისწინებული ხარჯების შემცირების მთავრობის პროგრამის მხარდასაჭერად. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა 284, მხარი დაუჭირა 256 კაცმა.

მთავრობამ ვერ მიიღო ხმის საჭირო უმრავლესობა თავიისი ეკონომიური პოლიტიკის მოსაწონებლად, რადგან კენჭისყრის დროს თავი შეიკავა 37 მემარცხენე ლეიბორისტმა. მათ კამათის დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შრომელთა ხარჯზე „ეკონომია“ ეწინააღმდეგება ლეიბორისტთა არჩევნებისწინა დაპირებებს.

მთავრობის პროგრამა უარყო კონსერვატიულმა ოპოზიციამაც. მაგრამ კონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ სოციალური საჭიროებისათვის ხარჯების გათვალისწინებული შემცირება საკმარისი არ არის. კენჭისყრის დამთავრებისთანავე კონსერვატორთა ლიდერმა მ. ტეტჩერმა მოითხოვა ლეიბორისტული კაბინეტის გადადგომა და კენჭისყრა მთავრობისადმი ნდობის საკითხზე.

თუმცა მთავრობამ მარცხი განიცადა დიდმნიშვნელოვან საკითხში, მაგრამ გადადგომა არ ემუქრება. ა. ლეტეგემა, „ტრიბუნის“ ჯგუფის თავმჯდომარემ, რომელიც გაერთიანებული არიან მემარცხენე ლეიბორისტი-პარლამენტარები, განაცხადა, რომ მთავრობისადმი ნდობის საკითხზე კენჭისყრის დროს ჯგუფის წევრები მას დაუჭერენ მხარს და არ დაუშვებენ ხელისუფლების სათავეში კონსერვატორთა ჩადგომას.

საბჭოთა ფილმების კვირეული

თეირანი. (საკადესი). დედაქალაქის კინოთეატრ „რიოოლში“ დაიწყო საბჭოთა ფილმების კვირეული.

საბჭოთა კინოს კვირეულს გახსნისას ირანის კულტურისა და ხელოვნების მინისტრის მოადგილემ ჰერადამანდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთ ღონისძიებათა რეგულარული განხორციელება ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და ირანის კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა კინოს კვირეული დაიწყო ფილმით „ანა კარენინა“. ირანელი მაყურებელი ნახავს ავრეთვე კინოსურათებს: „უფლანგებო ფრონტი“, „რომანი შეუვარებულებზე“, „ვერის უბნის მელოდიები“ და სხვ.

---

1. ურთიერთსასარგებლო ინიციატივა

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო—სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიურმა ორგანიზაციამ ამას წინათ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას, რომელიც დასავლეთ ევროპის ცხრა კაპიტალისტურ ქვეყანას აერთიანებს, მიმართა წინადადებით დაიდოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას შორის შეთანხმება ურთიერთობის საფუძვლების შესახებ. შეთანხმების პროექტი ფთვალისწინებს უმეტესი ხელშემწყობი რეჟიმის გამოყენებას, ეკონომიაში ყველა დისკრიმინაციული შეზღუდვის გაუქმებას, სტანდარტიზაციის, გარემოს დაცვის, სტატისტიკისა და სხვა პრობლემების გადაჭრას.

ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ურთიერთობა ეკონომიურ ორგანიზაციებს შორის ეროვნული ეკონომიური ინტერესებიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის საფუძველზე. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წინადადებანი, რომლებითაც მან მიმართა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას, გულისხმობენ, რომ ორივე ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიური გაერთიანების ახალი შეთანხმების აქტიური მხარეები იქნებიან.

ევროპის ორ უდიდეს ეკონომიურ ორგანიზაციას შორის საევაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობისათვის უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნა სარგებლობას მოუტანდა მათ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების სოციალისტური წესი ცხადყოფს, თავის უდავო უპირატესობებს კაპიტალისტური წესის წინაშე როგორც განვითარების ტემპით, ისე სხვა მხრივ. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების წილად მოდის მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის მესამედზე მეტი. მათ დაგეგმვის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. პრაქტიკამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებსა და ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოებს შორის, შეიძლება წარმატებით განვითარდეს. 1974 წელს საქონელბრუნვამ მათ შორის 2,4-ჯერ გადააჭარბა 1970 წლის დონეს, ხოლო 1975 წელს 20 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ინიციატივას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან თანამშრომლობის გაფართოების დარგში რეალური საფუძველი აქვს და გამოხატავს ევროპის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მოთხოვნილებას. ამასთან ეს რეალური, კონკრეტული ნაბიჯია დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციის, ჰელსინკში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების გზაზე (საკადესი).

საერთაშორისო შენიშვნები

---

2. რა ხდება ტაილანდში

ამასწინათ ტაილანდის დედაქალაქ ბანკოკში მოკლეს ამ ქვეყნის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი ბუნსანონგ ბუნოტაიანი, პარტიის ხელმძღვანელობამ ეს მკვლელობა ნამდვილ პოლიტიკურ აქტად შეაფასა. როგორც ჩანს, ასეთი შეფასება სინამდვილეს შეესაბამება. ტაილანდის მემარჯვენე წრეებს არ მოეწონათ ამ პოლიტიკური მოღვაწის გამოსვლები. შეგახსენებთ, რომ სანამ ქვეყანაში 4 აპრილისათვის დანიშნული პარლამენტის არჩევნებისათვის მზადება გაჩაღდებოდა, რეაქციულმა წრეებმა ეს პოლიტიკოსი „კომუნისტად“ მონათლეს იმის გამო, რომ ილაშქრებდა ტაილანდში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის წინააღმდეგ. მოითხოვდა ქვეყნის ძალაუფლების გადაცემას ხალხისათვის. მისი მოკვლა ტერორის პირველი აქტი როდია, რომელიც მემარჯვენეებმა გამოიყენეს არჩევნებისწინა ბრძოლაში.

მეთვალყურეებმა ყურადღება დაუთმეს მემარჯვენე ოფიცერთა ჯგუფის მოქმედებას, რომლებმაც ამასწინათ სცადეს სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა. როგორც ტაილანდის სახმელეთო ძალების სარდალმა გენერალმა ბუნჩაი ბამრუნგ პონგმა აღიარა, ეს ოფიცრები უკმაყოფილონი იყვნენ ტაილანდის მთავრობის პოზიციის გამო, რომელიც თითქოს აქტიურად არ უჭერდა მხარს სამხედრო თანამშრომლობის განგრძობას. ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მეორე მხრივ, ტაილანდში უკმაყოფილება მატულობს იმის გამოც, რომ მთავრობა, რომელმაც შარშან ხალხს აღუთქვა ამა წლის 20 მარტისათვის ქვეყნიდან ამერიკის მთელი სამხედრო პერსონალის გაყვანას მიეცა წერილი, ახლა ამირებს დატოვოს ამ პერსონალის ნაწილი „მრჩეველთა“ სახით. სხვადასხვა პროვინციაში ახლა იმართება ბობოქარი დემონსტრაციები, რომლებზეც მოითხოვენ ტაილანდიდან ამერიკის მთელი ჯარების გაყვანას. განსაკუთრებით აქტიურობენ უდიდესი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რომ ტაილანდის რეაქციულმა წრეებმა უკანასკნელ ხანს გააჩაღეს მტრული კამპანია მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ, ამასთან ამტკიცებენ, თითქოს ისინი ერეოდნენ მათ საქმეებში და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. სხვათა შორის, კამბოჯისა და ლაოსის პრესაში აღნიშნავენ ტაილანდელთა შეიარაღებული პროვოკაციების შემთხვევებს. როგორც ამასთან დაკავშირებით ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნიან ზანი“ წერს, ტაილანდში გაჩაღებული კამპანია მიზნად ისახავს გაამართლოს ამ ქვეყანაში ამერიკის ჯარების დატოვება, რაც, თავის მხრივ, მემარჯვენე ძალებს უნდა დაეხმაროს პარლამენტის აირჩევის არჩევნებზე გამარჯვებაში.

1973 წლის ამბებმა, როცა ტაილანდში ხალხის აჯანყების შედეგად დაემხო დიქტატორული სამხედრო რეჟიმი, აგრეთვე ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი პატრიოტების გამარჯვების შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდგომარეობის საერთო შეცვლამ ცხადყვეს ტაილანდში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ფონის ანაქრონიზმი. მაგრამ, როგორც ამ ქვეყნის ამბები მოწმობენ, მემარჯვენე წრეები, და უწინარეს ყოვლისა პენტაგონთან დაკავშირებული რეაქციული ოფიცრები, ცდილობენ კვლავ გამოიყენონ პოლიტიკურ ასპარეზზე, ამასთან იმედს ამყარებენ არა მარტო საკუთარი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელების, არამედ ამერიკული ხიშტების წყალობითაც (საკადესი).

ესპანეთის მშრომელთა პროტესტი

პარიზი, (საკადესი). ესპანეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, გუშინ ასტურიის მშრომელებმა არალეგალური დემოკრატიული ორგანიზაციების მოწოდებით მოაწყვეს ბრძოლის დღე და პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ ქალაქ ვიტორიაში პოლიცია გაუსწორდა დემონსტრანტებს, რომლის დროსაც დაიხოცა ოთხი კაცი.

პროვინციის, მთავარი ქალაქისაკენ ოვიედოსაკენ მიმავალ მშრომელთა მრავალათასიან დემონსტრაციას შეხვდნენ შეიარაღებული პოლიციელები. მათ გადაკეტეს ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალი ყველა გზა, გამოიყენეს რეზინის ტყვიები, ხელკეტები და გარეკეს დემონსტრანტები. თვით ოვიედოში პოლიცია შეეცადა ჩაეშალა მეშახტეთა მანიფესტაცია და რამდენჯერმე დაუშინა მათ ტყვია. ახლომდებარე დაბაში პოლიციამ გარეკა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა 2 ათასი მეშახტე.

ბარსელონასა და მის სამრეწველო გარეუბნებში გაიფიცა 40 ათასზე მეტი კაცი.

მოითხოვენ პალესტინის პროგლემის გადაწყვეტას

ნიუ-იორკი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზ. ლ. ტერაზმა მოუწოდა გაერთიანებულ ერებს მიაღწიოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის, კერძოდ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფის ყოვლისმომცველ სამართლიან მოწესრიგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებისა და წესდების ხაფუძველზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიის გადაწყვეტილებით შექმნილი პალესტინელი ხალხის შეუფალ უფლებათა განხორციელების კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიხსნა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიმართა მის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ რაიონში მშვიდობიანი მოწესრიგების კომპლექსის ღირძის — პალესტინის საკითხის გადაწყვეტაზე. მან თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეგნერალურმა ასამბლეამ ხმის უმრავლესობით მიიღეს ბრძოლა, ამერიკა და ვანანი.

ისრაელის ტერიტორიიდან არტილერიის მასირებული ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე სამხრეთ ლიბანის დასახლებულ პუნქტებს მაჯიდიას, მარუსა და ვანანის. ისრ

საქართველოს ქთა-ბაზაში

ენის ცოდნა გაანძია

თათბირ-სემინარი რუსული ენის სწავლებაზე

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა გაფართოებულ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე, რომელიც თბილისში გაიმართა, დიდი სკა-ბაასი იყო იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. როგავამ.

ეროვნულ სკოლაში რუსული ენის სწავლების ძირითადი პრობლემების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ პროფესორმა კ. მაჭარაშვილმა.

რუსული მეტყველების განვითარებისთვის მოშამობაზე ოდაბარაკა თავის მოხსენებაში თბილისის პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის დოცენტმა პ. ლუუუშაკარმა. საბჭოთა ლიტერატურაში მრომის თემას შეეხო ბაა თავისი მოხსენება პროფესორმა გ. გიგოლოვმა. „სასაუბრო ენა" — ასე უწოდა თავის მოხსენებას დოცენტმა რ. მაისურაძემ.

რუსული ლიტერატურის გაკვეთილებზე ტექნიკურ და თვალსაჩინო საშუალებათა გამოყენებისათვის მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს შეკრებილთ მასწავლებლებმა ლ. ბარაბაძემ, გ. იაკოვლევამ, რ. ცურკავამ და სხვებმა.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ

ᲙᲘᲒᲑᲣᲚᲘᲡ № 19 პროფტექნიკური სასწავლებელს ქალაქის საშუალო სკოლებთან მეგობრული და ნაყოფიერი ურთიერთობა აკავშირებს. დამაბთავრებელი კლასების მოსწავლეებთან ერთად ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის ერთობლივი ღონისიებები, თეატრული კონფერენციები, კითხვა-პასუხები, საღამოები, ვიქტორინები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში და სხვ.

ამას წინათ მე-2 საშუალო სკოლის მეტრე და მეათე კლასების მოსწავლეებმა დაათვალიერეს პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები, მოსწავლეთა საერთო, საცხოვრებელი, სასწავლებლის წითელი კუთხე და ბიბლიოთეკა, ხოლო მეშვიდე საშუალო სკოლის მოსწავლეები სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეეჯიბრნენ პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს.

ნ. ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲫᲔ.

ᲘᲮᲐᲠᲝᲡ ᲩᲔᲠᲛᲐ

ᲒᲐᲗᲝᲛᲘ. მანქანათსამშენებლო ქარხნის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ახლახან ათობით მოწინავე მუშამ ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლში დალოცა თავისი ბინის ჭერი.

მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

□ ᲥᲣᲘᲑᲘᲨᲕᲘ. სტალინის სახელობის შახტის ადმინისტრაციამ წელთა დამსაბურებისათვის მეშახტეები 93.213 მანეთით დააჯილდოდა.

კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. კირკიტაძემ 381 მანეთი მიიღო, ამდენივე თანხა დარიცხა მოწინავე მეშახტეს ჟ. რიკამაძეს, ა. ჭელიშვილს — 274 მანეთი, ხოლო ელექტროზეინკალ ნ. ნიკურაძეს კი 305 მანეთი.

მოწინავე მეშახტეებმა ასევე ყურადღებას ახალი მრომითი მაჩვენებლებით უპასუხეს.

Ი. ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ.

□ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. სოფელ ახუთის კლუბში მოეწყო „მათემატიკური ვიქტორინა", სადაც მონაწილეობდნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები. ვიქტორინაში აქტიური მონაწილეობისათვის მოსწავლეებს ნ. ჩიტაიას, ლ. სალაიას, რ. ჩიტაიას და სხვებს ჯილდოები გადაეცათ.

Ძ. ᲡᲘᲠᲘᲜᲐᲕᲐ.

□ ᲙᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. კარგი საჩუქარი მიიღეს რაიონის მშრომელებმა. დამთავრდა ახალი ავტოვაგზლის მშენებლობა, რომელიც მინით, რკინა-ბეტონითა და პლასტიკით არის აგებული.

ავტოსადგურის ირგვლივ შენდება სკვერი, დაირგო ხეები, კეთილმოწყო მოედანი.

Მ. ᲙᲝᲜᲪᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲕᲐ

ᲜᲝᲠᲩ ᲛᲔᲮᲐᲜᲫᲠᲔᲗᲐ ᲡᲘᲤᲮᲘᲖᲚᲔ

ᲐᲠᲔᲛᲐᲠᲔ თოგლს დაუფარავს, შუადღეა. ცხაკაიანი კოლხიდის ქუჩაზე პატარები — და-ძმა ცირა და გია მელიები, ვაჟა და ზაზა წარღვავები გამოსულან და თამამობენ. უცებ პატარა ცირამ შეაყვირა:

— ბაბუა თომას სახლი იწვის, — და ბებუთია თომა ჩაჩრდილის სახლეს. ბავშვები არ დაიბნენ, განაგრძეს ატეხეს და მეზობლების ტელეფონებისაკენ გაიქცნენ...

გიამ განმეორებით დაურეკა სახანძრო რაზმს:

— სახლი იწვის, ერთი მანქანა მოვიდა, ჩქარა. გამოგზავნეთ კიდევ სხვა მანქანა.

მეორე მანქანაც მალე მოვიდა, თვითონ რაზმის უფროსი ვაჟა უჩანეიშვილი და მეხანძრეები ჩამოვიდნენ მანქანიდან და ეხერგიული და თავდადებული მუშაობის შედეგად გადაარჩინეს.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ



ᲘᲕᲐᲜᲔ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია 2500 მანეთის ოდენობით მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომისათვის ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა დარგში.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, მეიღლება წარმოდგენილ იქნას ცალკეულ ავტორთა ძეძიებები, კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ საბუნებისმეტყველო-საკვლევ, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებაში, ან ცალკეულ პირთა მიერ. საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებების მიერ პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება გამონაკლისის სახით წარმოდგენილ იქნას რესპუბლიკის გარეთ შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული შრომები, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა ამ განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომელთაც მიენიჭათ ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და დარგობრივი აკადემიების პრემიები, პრემიის მოსაპოვებლად არ მეიძლება წარმოდგენილ იქნას.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლის, საქალაქო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სათანადო დარგის წამყვან მეცნიერთა ან სპეციალისტთა მიერ.

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მასალა:

1. გაფორმებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

2. დასაბუთებული წარდგინება, რომელიც მეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დასახასიათებას და გამართავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მეცნიერების განვითარებისათვის.

3. მოხაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი);

4. ცნობა იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული სხვა პრემიები.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად, ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უნდა გამოიგზავნოს მისამართით: 380004 თბილისი 4, ძერჟინსკის ქუჩა № 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ᲙᲘᲕᲘ. საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოლეგ კონსტანტინეს-ძე ანტონოვი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორის იმ თაობას ეკუთვნის, რომლებმაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის საჰაერო ფლოტის შექმნა დაიწყეს.

1923 წელს ოლეგ ანტონოვმა აიგო თავისი პირველი პლანერი და მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტია ემსახურება საყვარელ საქმეს — ავიაციას.

ან-ეს ჩვენს ავიაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ისინი გამოირჩევიან მაღალი ეკონომიურობით, აფრენისა და დაშვების საუკეთესო თვისებებით, მათი გამოყენება შეიძლება ხმელეთის აეროდრომზე. რასაც ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ან-ის ტიპის თვითმფრინავებს ჩვენი ქვეყნის ავიამგზავრთა თოქმის ნახევარი გადაუვავთ, გადაუკვთ ფოსტა, ტვირთები, ემსახურებიან უკიდურესი ჩრდილოეთისა და არქტიკის ზონებს. ამ თვითმფრინავებს თავიანთ რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავთ საბჭოთა კავშირის საავიაციო პარკში.

საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც ო. ანტონოვი ხელმძღვანელობს, ახალი მოდელის შექმნისას თუ ძველი მანქანების მოდიფიკაციის დროს დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ თვითმფრინავები ექსპლოატაციის დროს სადად გამოიყურებოდნენ და ტექნოლოგიურად გამართულნი იყონ სერიულ წარმოებაში. საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივი ერთ-ერთი პირველია ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც დაიწყო ყველა იმ სიახლის გამოყენება, რაც ამ უკანასკნელ წლებში დაინერგა საბჭოთა ავიამშენებლობაში.

უკრაინის დედაქალაქის კომუნისტებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს ავიაკონსტრუქტორს — ო. კ. ანტონოვი მონაწილეობდა სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: ო. კ. ანტონოვი ან-22-ის მოდელთან.

Ი. ᲛᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲘᲡ ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲠᲘᲒᲐ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲗ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲙᲔᲛᲔᲠᲝᲕᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ. შესანიშნავად შრომობს გაერთიანება „ᲙᲔᲛᲔᲠᲝᲕᲝᲒᲠᲔᲡᲘ" ქვანახშირის კარიერის „კედროვსკის" კოლექტივი. აქ მადნის ამოღება ღია მეთოდით წარმოებს.

მეცხრე ხუთწლედში მეშახტეებმა ამოიღეს და მომხმარებელს გაუგზავნეს 14 მილიონ 246 ათასი ტონა ქვანახშირი, აქედან 393 ათასი ტონა გეგმის გადაჭარბებით.

კარიერის კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, ყრილობის მუშაობის დღეებში დიდ გამარჯვებას მიაღწია — გეგმის დამატებით ამოიღო 82 ათასი ტონა ქვანახშირი.

უკანასკნელ ხანებში მიმდინარეობს კარიერის რეკონსტრუქცია: ითვისებენ ქვედა პორიზონტებს, ინერგება მძლავრი ამომღები ტექნიკა, შენდება ქვანახშირის ჩასატვირთი კომპლექსი. ახალი ტექნიკა მეშახტეებს საშუალებას მისცემს ხუთწლედის ბოლოსათვის ქვანახშირის მოპოვება ორჯერ გაადიდონ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: ქვანახშირის მოპოვება მიმდინარეობს ღია მეთოდით.

Ა. ᲙᲣᲨᲘᲐᲠᲘᲜᲘᲜᲐ და Ვ. ᲡᲐᲓᲩᲘᲙᲘᲜᲘᲡ ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). კარგი ტრადიცია დამკვიდრდა სორში. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს სოფლის საზოგადოებრიობა გულთბილად ეგებება, საინტერესო შეხვედრებს უწყობს. ამ დღეებში ერთი ასეთი შეხვედრა მოუწყეს საბჭოთა არმიიდან დაბრუნებულ სორელ ახალგაზრდებს ზ. ალბორაშვილს და ა. კერვალიშვილს, მათ, ვინც პირნათლად მოიხადა მხედრული ვალი სამშობლოს და ხალხის წინაშე.

ᲧᲝᲤᲘᲚ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲡ გულთბილად მიესალმნენ სორის საშუალო სკოლის დირექტორი ზ. ურეკაძე, პედაგოგი გ. ტაბუცაძე, სამხედრო კაბინეტის გამგე მ. კერვალიშვილი, მოსწავლე-თანასოფლელები გ. ყავლაშვილი, ნ. ტაბუცაძე, ბ. ᲙᲔᲠᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ და სხვები.

დასასრულ ზ. ალბორაშვილმა და ა. კერვალიშვილმა ალაპარაკეს საბჭოთა ჯარისკაცის საინტერესო ცხოვრებაზე, სამხედრო სამსახურის ბევრი ეპიზოდი გიხსენეს. დასასრულ ვალმოხდილმა ახალგაზრდებმა მადლობა გადაუხადეს შეხვედრის მონაწილეებს და პირობა დადეს, რომ აქედან ჩაებმებიან მშვიდობიან, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲐᲜ ᲑᲠᲐᲣᲜᲘ

ᲥᲐᲚᲘᲡ საერთაშორისო წელთან დაკავშირებით საქართველოს უურნალისტ ქალთა ერთმა ჯგუფმა იმოგზაურა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. მათ საინტერესო შეხვედრები აქონდათ პოლონელ კოლეგებთან, მეცნიერებთან, მხატვრებთან, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებთან.

ᲠᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ დედაქალაქში ჩასვლისთანავე გარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტს ვეწვიე. აქ მუშაობს ჩვენი კულტურის დიდი მეგობარი, ქართველოლოგი იან ბრაუნი. მას უკვე ლექციები დაეთმავრებინა და არ დაგიხვდა. მეორე დღეს პოლონელი მეცნიერი თვითონ გვეწვია სასტუმრო „მეტროპოლში", სადაც საქართველოს ჟურნალისტ ქალთა ჯგუფი ცხოვრობდა.

გვაინტერესებდა, რა მდგომარეობაშია „ვეფხისტყაოსანს" გამოცემა, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, შარშან, სტუმბერში იან ბრაუნი თბილისში იყო ჩამოსული, მაშინ მან გაგვაცნო თავისი მრავალწლიანი მუშაობა ცნობილ პოლონელ პოეტ ეჟი ზაგურსკისთან ერთად, რომელმაც პოლონურ ენაზე თარგმნა შოთას უკვდავი პოემა.

იანმა გვითხრა, საქართველოდან ჩამოსვლის შემდეგ სარედაქციო ტექსტში შესწორებები შეეტანებე, ეჟი ზაგურსკისთან ერთად ერთხელ კიდევ გადავიკითხე ტექსტი, კიდევ გავასწორე რამდენიმე ადგილი. ასე რომ, ამჟამად წიგნი კრაკოვის ლიტერატურული გამომცემლობის სტამბაშია და ილუსტრაციების, ფერადი მინიატურების დამუშავება მიმდინარეობს. მალე პოლონელი მკითხველი „ვეფხისტყაოსანს" სრულ ჰეიტერ თარგმანს მიიღებს. იანმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, თუ რა მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული ზაგურსკის თარგმანი.

პოლონელი მეცნიერი თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე გვესაუბრება. ჩვენს შეკითხვაზე, კიდევ არიან თუ არა ქართული კულტურით დაინტერესებული სხვა მეცნიერები, მან გვიპასუხა:

— არის ასეთი თურქოლოგი— ეკიტეხ ჰენზელი. იგი დაინტერესებულია საქართველოს ისტორიით, სწავლობს ქართულ ენას, ქართულ ეთნოგრაფიას. პოლონელი მეცნიერი ვოზნიაკი შეიარაღებულ. იგი საქართველოში ნამყოფია და ნამაოდ მდიდარი მასალაც აქვს ჩამოტანილი. ქართულ ენას სწავლობს აგრეთვე ფილოლოგი, დოქტორი სკლადანეკი.

პოლონელ და ქართველ მეცნიერთა დაახლოების საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ქართველ მეტალურგს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს ყორნელი ბზიავას, რომელსაც პოლონელი ვალი ჰყავს ცოლად და რამდენიმე წელია ვარშავაში ცხოვრობს. იგი ვარშავის მეტალურგიის სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობს.

იანს გადაეცი „კომუნისტში" გამოქვეყნებული „ნედელიდან" გადმობეჭდილი ა. მენდელეევის წერილი „იბერიული ტაბულის საიდუმლოება", რომელიც ბასკებისა და კავკასიელი იბერების გენეტიკური ურთიერთობის საკითხს ეხება. იანს უკვე მიღებული ჰქონდა „ნედელიის" ეს ნომერი, და საუბარი მის საყვარელ თემას შეეხო. ის ხომ ამ უკანასკნელ წლებში ფართო მუშაობას ეწევა ბასკური და ქართველური, აგრეთვე კავკასიური ენების გენეტიკური კავშირის პრობლემაზე. მან თავისი მოსაზრება გამოთქვა შ. ხვედელიძის მიერ შემუშავებული იბერიული ფირფიტების წაკითხვის მეთოდზე, ალბანმა, აქ ბევრი რამ სადავოა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ წერილმა თავისი დადებითი როლი შეასრულა, რამდენადაც ამ საკითხისადმი საზოგადოებრიობის ინტერესი კვლავ აღძრა.

— ამის შედეგი ჩემთვის მეტად სასიამოვნო გახლავთ, — მეუბნება იანი და მინვევნებს საქართველოდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ დ. ჩხიკვიშვილის ხელმოწერით მიღებულ წერილს, სადაც მას უნივერსიტეტში იწვევენ ბასკური ენის კურსის წასაკითხავად. — მე სიამოვნებით დავთანხმდი ამ მოწვევას და მაისის ბოლოს, ვფიქრობ, ჩამოვიდე თბილისში. ამჟამად ვამზადებ მასალებს ამ ლექციების კურსისათვის.

პოლონეთის რადიოს თხოვნით, — ვამბობ ინტერვიუ, — ქართველ ხალხურ მუსიკაზე სპეციალური სამნაწილიანი გადაცემა მოვამზადე. პირველ ნაწილში ძველი და შუა საუკუნეების ქართული ხალხური სიმღერები ჟღერს, მეორე ნაწილში — ახალი და უახლესი — თანამედროვე ქართული, კახური, მეგრული, გურული სიმღერები, მესამე ნაწილში — ბასკური ხალხური სიმღერები, რომლის ფირფიტები ბასკეთიდან მაქვს ჩამოტანილი. მუსიკალურ გადაცემას ჩემი ერცელი მიმოხილვა ახლავს.

ვარშავის ტელევიზიას განზრახული აქვს „ვეფხისტყაოსნის" ზაგურსკის ნათარგმნ ტექსტზე დაყრდნობით შექმნის ოთხსერიანი თეატრალური დადგმა. ამ დადგმაზე რეჟისორი ნოდეკოვსკი მუშაობს.

აი, ის, რაც ჩვენმა მეგობარმა იან ბრაუნმა შეხვედრისას გვაცნობა.

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.



ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲪᲣᲠᲘ

ᲒᲐᲨᲕᲔᲜᲘᲡ სპორტულ დარბაზ „ᲔᲨᲚᲘᲤᲘᲡ" („სიმბუკე") დაწყო უმაღლესი ლიგის ქალთა გუნდების 43-ე საკავშირო რემპიონატის დასკვნითი ტური. ასპარეზობაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის რამეტიოვ უძლიერესი კოლექტივი, მაგრამ გამარჯვების შანსებს ინარჩუნებს მხოლოდ ოთხი გუნდი — რიგის ტტტ, მოსკოვის ოლქისა და ლენინგრადის „სპარტაკი", მოსკოვის „დინამო".

პირველ ტურში ტტტ-მ ანგარიშით 63:51 დაამარცხა ვილნიუსის „�irsტმენისი", ლენინგრადელებმა დიდი ანგარიშით მოუგეს მოსკოვის სონ-ს — 105:67, მოსკოვის ოლქის სპარტაკელებმა — სვერდლოვსკის „ურალმაშს" — 89:73, ხოლო დინამოელებმა — ალმა-ათის „უნივერსიტეტს" — 82:63.

მეორე ტურში გათამაშების ლიდერმა ტტტ-მ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა — ალმა-ათის „უნივერსიტეტთან" — 91:59. წარმატებას მიაღწიეს სპარტაკელებმაც: ლენინგრადელებმა მოუგეს ტაშკენტის სკიფს — 73:49, ხოლო მოსკოვის ოლქის კალათბურთელებმა — დედაქალაქის „დინამოს" — 68:66.

ᲪᲘᲓᲙᲝᲒᲐ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ და იაპონელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მეორე ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ქალაქ მიტოში გაიმართა, ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 6:0 (პირველი შეხვედრა გაიმართა ტოკიოში, სადაც აგრეთვე საბჭოთა მოჭიდავეებმა გაიმარჯვეს — 4:2).

საინტერესოა, რომ პირველ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა 2,5 წუთში ბეჭებზე დასცა იაპონიის შარშანდელი ჩემპიონი კ. კომატუ.

საბჭოთა და იაპონელ მოჭიდავეებს წინ კიდევ ერთი მატჩი ელით—12 მარტს ქალაქ ოსაკაში.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ...

24 აპრილს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეში ევროპის პირველობის მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეეჯდებიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ეს გუნდები გუშინწინ ამხანაგურ მატჩში შეეჯდნენ ერმანეთს კოშიცეში. 40 ათასი მაყურებელი საინტერესო ასპარეზობის (იგი დამთავრდა ფრედ — 2:2) მოწმე გახდა.

— ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ — თქვა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ. — საბჭოთა ფეხბურთელები რთულ პირობებში (სველი, დათოვლილი მინდორი) ხვდებოდნენ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს და, ვფიქრობ, გაკეთეს ყველაფერი, რაც კი შეეძლოთ.

ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელმა ვაცლავ ეფეკმა აღნიშნა, რომ „ეს ამხანაგური მატჩი ევროპის სსრ კავშირის მეოთხედფინალური შეხვედრების წინ ორივე გუნდისათვის სასარგებლო იყო. მე კმაყოფილი ვარ შედეგით — აგებდე ასეთ შესანიშნავ გუნდთან 0:2 და ფრედ დაამთავრო ასპარეზობა, განა შეიძლება უკმაყოფილო იყო?".

აი რას წერს გაზეთი „რუდე პრავო" სსრ კავშირის ნაკრების შესახებ: „საბჭოთა ნაკრებმა დაამტკიცა, რომ იგი ევროპის საუკეთესო გუნდების რიცხვს ეკუთვნის. მისი თამაში აგებულია სრულყოფილ თავდაცვასა და სწრაფ კონტრშეტევებზე".

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ დასავლეთ საქართველოში ყველგან უნალექო ამინდი იყო. 13 საათიასათვის ყველაზე მეტი სითბო — 9 გრადუსი გალში, ზუგდიდში, ცხაკაიასა და ქუთაისში აღინიშნა. დასავლეთ რეგიონებში 7-8, მთებში 1-3 გრადუსი სითბო იყო.

ზიიმელსყაროდი, თელავში, გურჯაანში თოვდა, ქართლში უმეტესად უნალექო ამინდი იდგა, ტემპერატურა — ერთი გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო, მთებში — 2-3 გრადუსი ყინვა. ყველაზე მეტი სიცივე — 7 გრადუსი წალკაში იყო.

თბილისში 13 საათისათვის 2 გრადუსი სითბო იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში იქრილებს წამში 12 მეტრი სიძლიერის ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 8-13, მთაში 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში იცირე თოვა და ნისლია მოსალოდნელი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 1-6 გრადუსი სითბო, მთაში 4-8 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო ნალექი, ტემპერატურა — 4-6 გრადუსი სითბო.

ᲯᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲕᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲝᲩᲩᲘ. (იუგოსლავია) გაეთა საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ... ესწრებს უა-ბელი ... ტურის მომდეგ მას 7,5 ქულა აქვს. ა. კარპოვი ... ტურში ყველზე და ... ივკოვთან.

მომდევნო ადგილებზე არიან იან ტიმანი (ჰოლანდია) და ჯეიმს ტარიანი (აშშ) — 6,5 ქულა. მეორე საბჭოთა მოჭადრაკეები, დიდოსტატ ვაახიანს 5,5 ქულა აქვს. ... კიდევ ექვსი ტურია.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ქალაქ ლონ-პაინში (კალიფორნია) დაიწყო საერთაშორისო ტურნირი. პირველ ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონ-ელა ტ. პეტროსიანთან და ვ. სმოლოგა გაჩარჯვებებს მიაღწიეს. პირველმა მოუგო დ. შეროვის (აშშ), მეორემ — მის თანამემამულეს დ. სილმენს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ შეუდგა დიდოსტატმა ულფ ანდერსონმა ძოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს ჭადოაკში მსოფლიოს პირველობის ეროვნულ ... ერთ-ერთ საზონათაშორისო ტურნირში. უ. ანდერსონმა 2,5:1,5 დაამარცხა ქალაქ არბოგაში (შვეიცია) ბულგარელი ნიკოლა პადევსკი.

ᲤᲚᲔᲢᲣᲚᲘ ზაფხულში გაიმართება ჭაბუკთა ოლიმპიადა მსოფლიოს ჩემპიონატი ჭადრაკში. ვინ ითამაშებს მასში საბჭოთა კავშირიდან? ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს სპეციალურმა შესარჩევმა ტურნირმა, რომელიც აპრილში ტალინში გაიმართება. შესარჩევ ტურნირში ითამაშებენ ოსტატები ვლადიმერი (ყაზანეთი), მარიულსი, ზაიდი, ტაბოროვი, დოლმატოვი (ყველა — უკრაინა), კორსუნსკი (აზერბაიჯანი), ზაჩიკა (საქართველო) და ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონი ვაჟთა შორის, ოსტატობის კანდიდატი სტურუა.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲡᲘᲐᲢᲚᲘᲡᲢᲝᲞᲝᲚᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოთალური გუნდოული პირველობა, რომელიც მოაწყობოდა წითელდრომოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდიდ.

თვითეული გუნდში გამოდიოდა 7 მოჭადრაკე (4 ვაჟი, თითო ქალი, ჭაბუკი და გოგონა). პირველ ორ ადგილზე გამოსული კოლექტივი იღებდა ფინალში ძონაწილეობის უფლებას, რომელიც სეტტემბერში გაიმართება ნოვოსიბირსკში.

ამ ტურნირში პირველობა დამაჯერებლად მოიპოვეს აძიერკავკასიის მოჭადრაკეებმა, ოომლებსაც 31 ქულა მოაგოოვეს 42 შესაძლებლიდან. ხეორე ადგილზეა წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის, მესამეზე — შავი ზღვის ფლოტის გუნდი. საინტერესოა, რომ ეს შეჯიბრება ბარალეულად სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველობად ითვლეა. ბალტიელებმა ზვდიზედ მერვედ მოიპოვეს ჩემპიონობა მეზღვაურ ოოჭადრაკეთა შორის.

ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა გუნდში გაიოდიოდნენ (დაფებია მიეეედ ეთ): საერთაშორისო დიდოსტატი ე. გუფეელდი, ოსტატები ა. იზგუზრიკოვი, ა. ბოკუჩაკა, ოსტატობის კანდიდატები ლ. ნეუროონოვი, საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, ოსტატობის კანდიდატები თ. ხანთაძე და ხინო გურიელი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ტაშკენტელმა არმიელმა ალეკსანდრე ოუნიმმ მეორედ გაიმარჯვა სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატზე გამართულ ექვსდღიან რბოლაში ტრეკზე